ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №სამ/7

ქ. თბილისი „ 20 " ნოემბერი " 2012 წელი

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**
   1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
   1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
   1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველტან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
   1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
   1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები და ხელშეკრულების საგანი**

   ერთის მხრივ სსიპ – ქალაქ თბილისის №96 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ დემეტრაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს Unique Learning** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია გურგენიძეს სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

   ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CVP (2210000) წიგნების შეძენა შეძენა დანრთის შესაბამისად.
   აღნიშნული დანართი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**
   3.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 105 (ასხუთი) ლარს (იხილეთ დანართი), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;
   3.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამებულის №57.

4. **მხარეთა უფლება–მოვალეობანი**
   4.1. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდება განახორციელოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა;
   4.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება;

4.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე;

4.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე;

4.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი „მიღება–ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ – ქალაქ თბილისის №96 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ დემეტრაშვილი.

7. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში – ლარში;

8.2. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება–ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 საბანკო დღისა;

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, თანხის გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ფასები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე–3 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს;

9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პიროებების გაუარესებას შემსყიდველი ორანიზაციისათვის;

9.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) %–ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1.ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამის ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოსმიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.3. ხელშრკულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

12. სუბ–კონტრაქტორები

12.1.იმ შემთხვევაში, თუ სუბ–კონტრაქტის დადების ან სუბ–კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობით თანხმობა;

12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ–კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შესმყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში;

12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ–კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებიტ ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ფორს–მაჟორი

13.1.ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგანა დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3.ფორს–მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნსაკისრი ვალებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიირებს მეორე მხარისაგან წერილობიტ პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და მესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,07%–ს ოდენობით;

14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით;

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

დანართი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ – ქალაქ თბილისის №96 საჯარო სკოლის მიერ 2012 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული №სამ/7 ხელშეკრულებით შეძენილი საქონლის ჩამონათვალს

№	საქონლის დასახელება	საქონლის მოცულობა ან რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	მთლიანის ღირებულება	შენიშვნა
	9780230411791 Gateway A2 Teacher's Book with Test CD	1	20.00	20	
	9780230723412 Gateway A2 Class Audio CDs (2)	1	15.00	15	
	9780230417229 Gateway B1 Teacher's Book with Test CD	1	20.00	20	
	9780230723474 Gateway B1 Class Audio CDs (2)	1	15.00	15	
	9780230417212 Gateway B1+ Teacher's Book with Test CD	1	20.00	20	
	9780230723535 Gateway B1+ Class Audio CDs (2)	1	15.00	15	
	ჯამი			105	

სსიპ – ქალაქ თბილისის #96 საჯარო სკოლის
დირექტორის მ/შ

თ. დემეტრაშვილი

შპს Unique Learning
დირექტორი:

მაია გურგენიძე

404921545
GEORGIA "UNIQUE LEARNING" LTD

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიირებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების, მისი მირების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე;

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან;

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

15.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხის ირგვლივ;

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე;

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია	მიმწოდებელი ორგანიზაცია
სსიპ ქალაქ თბილისის №96 საჯარო სკოლა	**შპს Unique Learning**
მის.: ქ. თბილისი, ქ. წამებულის №57	მის.: მის. იურიდ: ფალიაშვილის 116
ს/კოდი: 206031774	ს/კოდი: 404921545
	ბანკის რეკვიზიტები:
	ბანკისკოდი **TBCBGE22**
	GE87TB7449736080100002
დირექტორის მ/შ	დირექტორი: ქაია გურგენიძე